


სკოლის

|

კლასის მოსწავლე



ორიენტირება. რიცხვების შეღარება



პომპლექსური დახალება „ჩემი ეზო“

დახატე სახლი, რომელსაც აქვს ეზო და შემოღობილია. ეზოს შიგნით დახატე სხვადასხვა ზომის ხეები, ბუჩქები, ყვავილები, შინაური ცხოველები და ფრინველები. ეზოს გარეთ დახატე გზა, ტრანსპორტი და განათების ბოძები. ნახატს შენი სურვილით დაამატე სხვადასხვა საგანი, მაგალითად: მზე, ცა, ღრუბლები, ჩიტები, ბავშვები... და გააფერადე.


თქვენი დავალებაა

- დაადგინეთ, სად რომელი საგანია. აღწერისას გამოიყენეთ სიტყვები: წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, შიგნით, გარეთ.
- რომელი საგანია თქვენს ნახატზე სახლის მარჯვნივ, მარცხნივ? წინ, უკან? ზევით?
- რომელი საგნებია თქვენს ნახატზე სახლსა და ღობეს შორის?
- შეადარეთ დახატული საგნები ერთმანეთს ზომის მიხედვით; დავალება შეასრულეთ სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით.


ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა ტერმინები გამოიყენეთ საგნების აღვილმდებარეობის აღწერისას?
- რა წესით განალაგე ობიექტები სიბრტყეზე/სივრცეში?
- როგორ შეადარეთ საგანთა ზომები?
- შეაფასეთ, რამდენად კარგად გაართვით თავი დავალება.


1 შიგნით, გარეთ, ზემოთ, ქვემოთ





ჩახატე ჩხირები ღობის
შიგნით.



დახატე ჩხირები ღობის
გარეთ.




ღობის გარეთ დახატე
უფრო ნაკლები რაოდენო-
ბის ჩხირები, ვიდრე ღობის
შიგნით არის.




ღობის შიგნით ჩახატე
უფრო ნაკლები რაოდენო-
ბის ჩხირები, ვიდრე ღობის
გარეთ არის.


2 ციც, უკან, გვერდით, შორის, მარჯვნივ, მარცხნივ




მარცხენა ღანგარზე დახა-
ტე ნაკლები რაოდენობის
ვაშლები, ვიდრე მარჯვე-
ნაზეა.



თანქრის გვერდით დახატე
ბურთი.



დროშას და ქოლ-
გას შორის დახატე
ბურთი.



გოგონები მწერივში
დგანან. ელენეს აცვია
წითელი კაბა. მის წინ
მდგომი გოგონას კაბა
გააფერადე ლურჯად,
მის უკან მდგომი გოგო-
ნას კაბა — მწვანედ.

3 ნინა, გოგიავნო

ნითელი ავტომობილის მომდევნო გააფერადეთ
მწვანედ, ნინა — ყვითლად, ლურჯის მომდევნო —
ყავისფრად.



წითელკაბიანის წინა თოჯინას დაუხატეთ ბუშტი,
მომდევნოს კი — ყვავილი.



4


ზემოთ, ქვემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ




დახატეთ ფინჯნის
მარცხნივ ორი ჩხირი,
მარჯვნივ — სამი წრე.



დახატეთ ნავის ქვემოთ
ლურჯი ბურთი, ზემოთ
— ყვითელი ბურთი,
მარჯვნივ — ნითელი
ყვავილი, მარცხნივ —
მწვანე ყვავილი.




მონიშნეთ წერტილებით
გზა, რომელიც მიიყვანს
პაჭიას სტაფილოსთან.




5


რომელია ყველაზე დიდი? რომელია ყველაზე პატარა?




გააფერადე ყველაზე
დიდი ბურთი.



გააფერადე ყველაზე
პატარა ბურთი.



გააფერადე უფრო დიდი
კუბურა.




წაშალე ერთი ვაშლი ისე,
რომ დარჩეს ტოლი ვაშ-
ლები.

6


რომელია უფრო გრძელი? რომელია უფრო მოკლე?
თანაბარი სიგრძისაა?




დახატე უფრო გრძელი
ჯოხი.



უფრო მოკლე ლენტი
გააფერადე წითლად.



თანაბარი ზომის ლენტები
გააფერადე ერთ ფრად.



ჩავცვი წითელი კაბა იმ
გოგონას, რომელსაც
უფრო გრძელი ჯოხი
აქვს.

რაოდენობაზე გეძარება.

რიცხვები 1-დან 10-ის ჩათვლით




კომპიუტერი დავალება „მოვემზადოთ ზეიმისთვის“

ვთქვათ, სასკოლო ზეიმისთვის მასწავლებელმა გთხოვათ ოთახის მორთვა. შეადგინეთ ოთახის მოსართავად გირლანდები. ამ ბარათებზე რიცხვებია გამოსახული

1 3 5 1 3 5 1 3 5

ამ ბარათებზე კი ხილია გამოსახული



თქვენ უნდა დაამზადოთ სხვა ბარათებიც, რომლებზეც გამოსახეთ სხვადასხვა ყვავილი, ცხოველი, ფრინველი. თუ ამ ბარათებს დააწებებთ თოკზე, დამზადდება სხვადასხვა „გირლანდა“. მათი გამოყენებით ოთახის მორთვას შეძლებთ.

შეადგინეთ რიცხვების მიმდევრობა, ჯერ ერთი კანონზომიერებით (წესით) შემდეგ კი სხვა კანონზომიერებით. იმავე კანონზომიერებით შეადგინეთ ყვავილების, ფიგურების, სხვადასხვა საგნის მიმდევრობა.

თქვენი დავალება:

- აღწერეთ შედგენილი მიმდევრობები, გამოიყენეთ სიტყვები: წინა მომდევნო, პირველი, მეორე, მესამე, იმდენივე;

- შეადარეთ მიმდევრობები გამოყენებული ბარათების რაოდენობების მიხედვით.
- შეადარეთ მიმდევრობები. რომელი უფრო დაამშვენებს თქვენს ზეიმს?


დავალება შეასრულეთ სახატავი საშუალებების, ლენტებისა და ფერადი ქაღალდების ფურცლების გამოყენებით.

ნაშრომის პრეზენტაციისას მკაფიოდ უნდა მოახსენოთ მსმენელებს:

- რა სიტყვები გამოიყენეთ მიმდევრობის აღწერისას?
- მიმდევრობის შედგენის რა წესი გამოიყენეთ?
- როგორ ადარებთ სხვადასხვა საგნისგან შედგენილ მიმდევრობებს? შეაფასეთ თქვენი ნაშრომი: რამდენად კარგად შეასრულეთ დავალება? რის გაუმჯობესებას ისურვებდით?

1

მათია? ნაკლებია? იმდენვა?



ნაძვია მეტი თუ გვირილა?



ფინჯანია ნაკლები
თუ კოვზი?



მიახატე იმდენივე ჩხირი,
რამდენიც ვარსკვლავია.

2

მათია? ნაკლებია? იმდენვა?



ქვემოთ მიახატე ნაკლები
რაოდენობის ბურთი.




ქვემოთ მიახატე იმდენივე
ბურთი.




ქვემოთ მიახატე მეტი რა-
ოდენობის ბურთი.

3


მათია? ნაკლებია? იგდოვეა?




ჩახატე ჩხირების რაოდენობაზე ნაკლები რაოდენობის ბურთი.




ჩახატე იმდენივე ბურთი, რამდენიც ჩხირია.



ჩახატე ბურთების რაოდენობაზე მეტი რაოდენობის ჩხირი.



გააფერადე ბურთები წითლად და ლურჯად ისე, რომ წითელი ბურთების რაოდენობა მეტი იყოს.



გააფერადე დროშები წითლად და ლურჯად ისე, რომ წითელი და ლურჯი დროშების რაოდენობები თანაბარი იყოს.